სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს

ბრძანება №REG 7 24 00000223

2024 წლის 29 იანვარი

ქ. თბილისი

სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ

საქართველოს კანონის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" (მუხლი 6, მუხლი 8, მუხლი 10) და „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილების (დანართი №1), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №01-64/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის „კ" პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. სს „ვიანზე" (ს/ნ 402295716; ფაქტობრივი მისამართი: ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქუჩა N85/83ა) გაიცეს „საწარმოო ტრანსფუზიოლოგიური საქმიანობის ლიცენზია".

2. დაევალოს სააგენტოს სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიებისა და აკრედიტაციის სამმართველოს სალიცენზიო მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიებისა და აკრედიტაციის სამმართველოს ლიცენზიის გაცემის შესახებ მონაცემები დადგენილი წესით შეიტანოს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

5. ბრძანება ძალაში შედის ხელის მოწერისთანავე.

საფუძველი: სს „ვიანის" დირექტორის უფლებამოსილი პირის, სოფიო ანდღულაძის

განცხადებები: №1307450, 06.12.2023წ. №1356601, 18.12.2023წ.

ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი №2, 25.01.2024წ.

ადგილზე შემოწმების აქტი № ლნ - 107 - 19, 24.01.2024წ.

სააგენტოს დირექტორი ირაკლი მხეიძე